თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1743427

ნომერი: AR1281815

თარიღი : 29.01.2015

გაცემის თარიღი : 23.02.2015

გაცნობის თარიღი : 23.02.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩოლოყაშვილი , N 48 ა / ქალაქი თბილისი , ჩიხი ჩოლოყაშვილი III , N 4 , (ნაკვეთი N60/30) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჯემალ მიმინოშვილი პ/ნ 01024012274
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 11ა ბ. 16

ორგანიზაცია:
- ი.ბ.ა. "ორთაჭალა-2006" კოდი: 206330406

ნომენკლატურა :
- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.11.2014წ. №1572855 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 29/01/2015წ. AR1281815 განაცხადით მომართეს ჯემალ მიმინოშვილმა, ლადო ალანიამ და ნარგიზა ხოშტარიამ და მოითხოვეს ცვლილების შეტანა სამსახურის 03.11.2014წ. №1572855 გადაწყვეტილებით გაცემულ წერილობით თანხმობაში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურმა 03.11.2014წ. №1572855 გადაწყვეტილებით დაადასტურა ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა №48ა / ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ჩიხი III, №4 (ნაკვეთი №60/30) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საკადასტრო საზღვრებში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი № 01.17.12.060.030) ნარგიზა ხოშტარიას ავტოფარეხის განთავსების შესაძლებლობა, საკადასტრო გეგმის მიხედვით არსებულ მწკრივში, თანდართული ესკიზის მიხედვით, მომიჯნავე ავტოფარეხების სიმაღლის შესაბამისად.

განმცხადებლების განმარტებით, დღეისათვის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას და ნარგიზა ხოშტარიას სურთ ავტოფარეხის მშენებლობის უფლების ლადო ალანიასთვის გადაცემა, რის გამოც განმცხადებლები ითხოვენ შევიდეს ცვლილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში და დაფიქსირდეს ლადო ალანიას ავტოფარეხის განთავსების შესაძლებლობა.

განმცხადებლების მიერ, განსახილველი განაცხადით, სამსახურში ასევე წარმოდგენილი იქნა ამხანაგობის კრების ოქმი (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №150080381, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი: 29.01.2015წ.), ლადო ალანიასთვის ავტოფარეხის განთავსების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.11.2014წ. №1572855 გადაწყვეტილებაში და დაფიქსირდეს ლადო ალანიას ავტოფარეხის განთავსების შესაძლებლობა.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.11.2014წ. №1572855 გადაწყვეტილებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.